ბანკი ქართუ
CARTU BANK

# SWIFT ISO 20022

## ინტერნეტ ბანკით ვალუტის გადარიცხვის ინსტრუქცია

ინტერნეტ ბანკით სხვა ბანკში უცხოური ვალუტის გადასარიცხად, გთხოვთ, მიჰყვეთ შემდეგ ინსტრუქციას:

- შედით თქვენს ინტერნეტ ბანკში
- აარჩიეთ „გადარიცხვები“, შემდეგ კი „გადარიცხვა სხვა ბანკში უცხოური ვალუტაში“




- შეარჩიეთ ანგარიში, რომლიდანაც გნებავთ თანხის გადარიცხვა
- შეარჩიეთ ბენეფიციარი, ვისთანაც გნებავთ თანხის გადარიცხვა  - თუ აღნიშნული ადრესატი გყავთ დამატებული „ბენიფიციარებში“, თუ არადა, დატოვეთ ეს ველი ცარიელი. ახალი ადრესატის დამატება შესაძლებელი იქნება ქვემოთ.




თანხის გადასარიცხად, შევსებული უნდა იყოს შემდეგი ველები:

<u>მიმღების ინფორმაცია:</u>

- მიმღების ტიპი/Reciever Type – აარჩიეთ მიმღების ტიპი - ფიზიკური პირი (Private) ან ორგანიზაცია (Organization)



- ფიზიკურ პირთან გადარიცხვის შემთხვევაში შესავსები ველებია:
  - მიმღების დასახელება/Receiver Name
  - მიმღების რეზიდენტობის ქვეყანა/Receiver Country of Residence - ქვეყანა აარჩიეთ ჩამოსაშლელი სიიდან
  - მიმღების დაბადების თარიღი/Receiver Birth Date - დაბადების თარიღი მიუთითეთ შემდეგ ფორმატში - დდ/თთ/წწწწ ან მონიშნეთ კალენდარზე
  - მიმღების დაბადების ქვეყანა/Receiver Birth Country - ქვეყანა აარჩიეთ ჩამოსაშლელი სიიდან
  - მიმღების დაბადების ქალაქი/Receiver Birth City - ჩაწერეთ ქალაქის დასახელება ლათინური ასოებით
  - მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი/Receiver Identifictaion - აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა რუსული რუბლის გადარიცხვის შემთხვევაში.



- ორგანიზაციაში გადარიცხვის შემთხვევაში შესავსები ველებია:
  - მიმღების დასახელება/Receiver Name
  - მიმღების რეზიდენტობის ქვეყანა/Receiver Country of Residence
  - მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი/Receiver Identifictaion - აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ გადასარიცხი ვალუტა არის რუსული რუბლი.




<u>მიმღების ფაქტობრივი მისამართი/</u>Receiver Postal Address - შეავსეთ ინფორმაცია მიმღების ფაქტიური მისამართის შესახებ:

- ქვეყანა/Counrty - ქვეყანა აარჩიეთ მოცემული ჩამონათვალიდან
- ქალაქი/Town Name - ქალაქის დასახელება დაწერეთ ლათინური ასოებით
- მისამართი/Address - მისამართი დაწერეთ ლათინური ასოებით



<u>მიმღების ანგარიში/Receiver Account:</u>

შეარჩიეთ იდენტიფიკაციის ტიპი/Identification Type – IBAN ან Other და მიუთითეთ შესაბამისი ანგარიშის ნომერი.

- IBAN - საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი
- Other - სხვა ტიპის ანგარიშები




<u>მიმღები ბანკის ინფორმაცია/Receiver Bank Identification Type:</u>

შეიყვანეთ ინფორმაცია მიმღების ბანკის შესახებ:

- მიმღები ბანკის BIC/Swift კოდი/Receiver BIC/Swift Code
- მიმღები ბანკის LEI კოდი/Receiver Bank LEI code* - მიუთითეთ მიმღები ბანკის, როგორც იურიდიული პირის, საერთაშორისო იდენტიფიკატორი (ფორმატი: პირველი 18 სიმბოლო ციფრი ან/და ლათინური ასო, ბოლო 2 სიმბოლო - ციფრი). ამ ეტაპისთვის აღნიშნული ინფორმაციის შევსება არ არის სავალდებულო.
- მიმღები ბანკის დასახელება/Receiver Bank Name - მიმღები ბანკის BIC/Swift კოდის სწორად შევსების შემთხვევაში, ეს ველი შეივსება ავტომატურად.




თუ გადარიცხვის დროს საჭიროა შუამავალი ბანკის დამატება, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და შეავსეთ იგივე ინფორმაცია შუამავალი ბანკის შესახებაც.

- იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვა ხდება ბენეფიციართან, რომელიც არ არის სისტემაში შენახული, მაშინ გამოჩნდება ბენეფიციარის ველი, სადაც შეგიძლიათ აღნიშნულ ადრესატს დაარქვათ თქვენთვის სასურველი სახელი და შეინახოთ მისი მონაცემები.




- მიუთითეთ გადასარიცხი თანხის ოდენობა
- აარჩიეთ საკომისიოს გადამხდელი - ვის მიერ ხდება გადარიცხვის საკომისიოს გადახდა:
  - გამგზავნი (OUR) - საკომისიოს სრულად იხდის თანხის გამგზავნი
  - გამგზავნი/მიმღები (SHA) - საკომისიო ნაწილდება გამგზავნსა და მიმღებს შორის.
- მიუთითეთ გადარიცხვის დანიშნულება/Purpose




- ჩინეთში ჩინური იუანის გადარიცხვის შემთხვევაში, დამატებით შესავსები იქნება შემდეგი ველები:
  - მარეგულირებლის კოდი/Regulatory Reporting Code - მარეგულირებლის მიერ განსაზღვრული ოპერაციის დანიშნულები კოდი
  - იურიდიული პირის შემთხვევაში შეავსეთ შემდეგი ველები:
    - საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი/Receiver/Contact Person Phone Number - ტელეფონის ნომერი მიუთითეთ სრული ფორმატით.
    - საკონტაქტო პირის დასახელება/Contact Person Full Name



- არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გადარიცხვის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ მარეგულირებლის მიერ განსაზღვრული ოპერაციის დანიშნულების კოდი:




- საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გადარიცხვას თან დაურთოთ სასურველი ფაილი.




- დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი”.
- თქვენს მობილურ ტელეფონზე მოსული ერთჯერადი კოდი შეიყვანეთ შესაბამის ფანჯარაში.
- შევსებული ინფორმაცია შეგიძლიათ შეინახოთ შაბლონებში.
- კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ თქვენს მიერ შეყვანილი ინფრომაციის სისწორე და გადარიცხვის დასასრულებლად დააჭირეთ ღილაკს „დადასტურება”.

- გადარიცხვის სტატუსი შეგიძლიათ გადაამოწმოთ მიმდინარე დავალებების გვერდზე.